# საქართველოს პრეზიდენტის
# განკარგულება

**№ 304 2009 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი**

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

1. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი და მრავალმხრივი ღონისძიებების განხორციელებისათვის შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის დახვეწისა და ამ პრობლემის წინააღმდეგ საქართველოს სახელმწიფოს მიერ კომპლექსური ღონისძიებების განხორციელების მიზნით, დამტკიცდეს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების თანდართული სამოქმედო გეგმა (შემდეგში – სამოქმედო გეგმა).

2. სახელმწიფო დაწესებულებების მიერ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და სამომავლო საქმიანობის დაგეგმვა განახორციელოს ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელმა საუწყებათაშორისო საბჭომ (შემდეგში – საუწყებათაშორისო საბჭო).

3. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულმა სამთავრობო სტრუქტურებმა მოამზადონ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ კვარტალური ანგარიშები და სამ თვეში ერთხელ წარუდგინონ საუწყებათაშორისო საბჭოს.

4. საუწყებათაშორისო საბჭოს მიერ საქმიანობის მონიტორინგის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების გათვალისწინებით, დასახული მიზნების მიღწევის გზების დახვეწის მიზნით, სამოქმედო წლის ბოლოს შესაძლებელია სამოქმედო გეგმის კორექტირება.

5. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებულ გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭოს ეთხოვოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა და თანამშრომლობა საუწყებათაშორისო საბჭოსა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სხვა შესაბამის უწყებებთან.

მიხეილ სააკაშვილი

დამტკიცებულია
საქართველოს პრეზიდენტის
2009 წლის 23 აპრილის
№ 304 განკარგულებით

## ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დასაცავად გასატარებელ ღონისძიებათა 2009-2010 წლების სამოქმედო გეგმა

| მიზანი | ამოცანა | საქმიანობა | შემსრულებელი | ვადა | ინდიკატორი |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და შესაბამისი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა | 1.1. ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ეროვნული რეფერალური მექანიზმის (შემდეგში - ეროვნული რეფერალური მექანიზმი) ჩამოყალიბება | 1.1.1. ეროვნული რეფერალური მექანიზმის შემუშავება | ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო (შემდეგში - საუწყებათაშორისო საბჭო), საქართველოს შრომის, ჯანმრთელო-ბისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათ-ლებისა და მეცნიერე-ბის სამინისტრო, საქა-რთველოს იუსტიციის სამინისტრო, ადამია- | 2009 | ეროვნული რეფერალური მექანიზმის მარეგულირე-ბელი დოკუმენტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი (შემდეგში - ფონდი) (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | | |
| | 1.2. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში საკანონმდებლო ბაზის დახვეწა | 1.2.1. „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადება და კანონმდებლობით დადგენილი წესით | საუწყებათაშორისო საბჭო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო | გეგმის განხორციელების განმავლობაში | მომზადებული ცვლილებათა პაკეტი |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | მისი განხილვის პროცედურების დაწყების ლობირება | ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | | |
| | | 1.2.2. მოქმედი სოციალური მუშაკების დროებითი სტატუსის განსაზღვრა და მათი საქმიანობის ლეგიტიმაცია | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი | გეგმის განხორციელების განმავლობაში | დროებითი სტატუსის განმსაზღვრელი დოკუმენტი |
| | | 1.2.3. სოციალურ მუშაკად გადამზადების პროგრამის მომზადება და ინსტიტუციონალიზება | შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საუწყებათაშორისო საბჭო, ფონდი (დაინტერესებულ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით) | 2010 | ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მომზადებული პროგრამა<br><br>განათლების სამინისტროს მიერ შესაბამისი რეგულაციების მომზადება |
| | | 1.2.4. კანონმდებლობისა და შესაბამისი პრაქტიკის შეფასება ოჯახში ძალადობის მსხვერპლ არასრულწლოვნებთან დაკავ- | საუწყებათაშორისო საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, | გეგმის განხორციელების განმავლობაში | კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მომზადებული დას- |